სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი

№ 111 (11417)

შაბათი, 16 მაისი, 1959 წ.

ფასი 20 კაპ.

ჯანმრთელობის სადარაჯოზე

„...პუნქტების მოსაწყობად ერობას ჩემთვის ერთი კაპიკიც არ მოუცია. ხვეწნა-მუდარით ვართმევ მდიდრებს ხან ამას, ხან იმას. ჩინებული მათხოვარი გამოვდექი", — ასე წერდა თავისი, როგორც ექიმის, მოღვაწეობის შესახებ დიდი რუსი მწერალი ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვი. ამ სიტყვებში მოკლედ და ხატოვნად დახასიათებულია თვით საქმის არსი: მეფის რუსეთს ჯანმრთელობის დაცვა არ აინტერესებდა, იგი დამოკიდებული იყო ცალკეულ ქველმოქმედზე, ამა თუ იმ მდიდრის მოწყალებაზე.

სოციალიზმმა მედიცინა ხალხის სამსახურში ჩააყენა. ჯანმრთელობის დაცვა ჩვენთან საერთო-სახელმწიფოებრივი საქმე გახდა. ადამიანი, დედამიწაზე ყველა მატერიალური და სულიერი სიმდიდრის შემქმნელი, სამართლიანად ითვლება ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ძვირფას კაპიტალად. მისთვის მამობრივად ზრუნავენ ჩვენი პარტია, ჩვენი მთავრობა. ეს ზრუნვა მშვენივრად მოჩანს ახალი საკურორტო კერების ნათელ კორპუსებში თუ მრავალრიცხოვან დასასვენებელ სახლებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ თუ სხვა სამედიცინო დაწესებულებებში...

საქართველოში წინათ ექიმი, სამედიცინო დაწესებულება სანლით ხაძებნა თუ იქნებოდა. ახლა რესპუბლიკაში არ არის არც ერთი დიდი დასახლებული პუნქტი, საავდმყოფო რომ არ ჰქონდეს. სამკურნალო დაწესებულებებია ხვანეთის. ხევსურეთის შორეულ მთებშიც კი, სადაც რევოლუციამდე ადამიანებმა არ იცოდნენ, რა იყო სამედიცინო დახმარება. წინათ მიუვალი მთებისათვის უცხო ალარ არის მედიკამენტებით დატვირთული ვერტმფრენები. თუ წარსულში 10 ათას მოსახლეზე მხოლოდ 8 საავადმყოფო საწოლი და 1,3 ექიმი მოდიოდა, შარშან ჩვენში უკვე იყო 66 საწოლი და 32 ექიმი.

„...კაპიტალისტურ ქვეყნებში, — ამბობდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში XXI ყრილობაზე, — არავის არაფერი ესაქმება, თუ რა მოუვა მშრომელ ადამიანს, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ყოველი სამედიცინო დახმარებისათვის, რა დიდი თუ მცირეც უნდა იყოს იგი, უნდა გადაიხადო პირადი სახსრებიდან დიდი თანხა. როცა ჩვენ ფინეთში ვიყავით, ერთმა მუშამ გვიამბო, თუ როგორ გაუჭირდა მას, როცა დავადდა აპენდიციტით და საჭირო იყო ოპერაციის გაკეთება. ამაში მას ბევრი ფული უნდა გადაეხადა ან მომკვდარიყო".

საბჭოთა კავშირში კი, როგორც ცნობილია, მშრომელები სარგებლობენ უფასო სამედიცინო მომსახურებით. შვიდწლიანი გეგმის დიდებული საკონტროლო ციფრები ნამდვილი სიმფონიაა საბჭოთა ადამიანისათვის მამობრივ ზრუნვაზე, მის კეთილდღეობაზე, ბედნიერებაზე. ციფრების პოეზია მოგვითხრობს იმ უდიდეს ღონისძიებებზეც, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის სწრაფ განვითარებას. ჩვენი რესპუბლიკა შვიდწლედში მიიღებს 10.800 საავადმყოფო საწოლს. აქედან 2.500 იქნება იმ საავადმყოფოებში, რომლებსაც აშენებენ თელავის, ზუგდიდის, მახარაძისა და სხვა რაიონების კულმეურნეობები. სამკურნალო დაწესებულებათა საწოლების რაოდენობა მარტო წელს გადიდდება 1.150 ერთეულით. შენდება საავადმყოფოები თბილისსა და ქუთაისში, ცხაკაიასა და ქობულეთში, ბევრ სხვა ქალაქში, რაიონულ ცენტრსა და სოფელში. ახალ სასოფლო სტაციონართა გახსნასთან ერთად დასახულია გამსხვილდეს არსებული სტაციონარები. ბევრი მათგანი გადაიქცევა საკოლმეურნეობათაშორისო სტაციონარებად. რესპუბლიკაში გაიხსნება 60 ახალი აფთიაქი...

საბჭოთა მედიცინამ თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ბრძოლაში. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობა. ამის შედეგად შემცირდა ტუბერკულოზით, ტიფით დაავადება; პრაქტიკულად აღმოფხვრილია მალარია.

ყველა ეს წარმატება უდავოა. მაგრამ მთელი რიგი დიდი სამედიცინო პრობლემები ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მძიმედ მოქმედებს და უდიდეს ზარალს აყენებს სახელმწიფოს ვირუსული გრიპის ყოველწლიურად გავრცელება. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისთვის, რომ ეფექტიანად ებრძოლონ ინფექციურ სნეულებათა, განსაკუთრებით ბავშვის ინფექციურ სნეულებათა მოსახსნობად. საჭიროა მკვეთრად გავაუმჯობესოთ ეპიდემიის საწინააღმდეგო მუშაობა.

საქართველოში ასზე მეტი კურორტი და ათასამდე მინერალური წყაროა; საქართველოს კურორტების საერთო გამტარუნარიანობა შვიდწლედში კიდევ 20 პროცენტით გადიდდება. სამწუხაროდ, ადგილებზე არსებული ბევრი სამკურნალო მინერალური წყარო, მაგალითად, ყვარლის, თელავის, ახმეტის რაიონებში, კეთილმოწყობილი არ არის. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა იზრუნონ ამ წყაროების კეთილმოწყობისათვის. ეს ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმის გაუმჯობესებას.

დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა აქტივის თათბირის მომართვა რესპუბლიკის მედიცინის მუშაკებისადმი. თათბირის მონაწილენი მოუწოდებენ რესპუბლიკის ყველა ექიმს, ფარმაცევტს, მედიცინის დას, სანიტარს, სამედიცინო ინსტიტუტისა და საშუალო სამედიცინო სასწავლებლების მასწავლებლებს, დოცენტებს, პროფესორებს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლებსა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა და დაწესებულებათა ყველა მუშაკს — აამაღლონ პროფილაქტიკური მუშაობის დონე, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების კულტურა და ხარისხი, უზრუნველყონ სამედიცინო მეცნიერების შემდგომი განვითარება.

ეჭვი არ არის, ამ მიმართვას მხურვალედ გამოეხმაურება ჯანმრთელობის დაცვის ყველა მუშაკი, თავის წერილს შეიტანს იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრაში, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის გახანგრძლივების დარგში დასახეს.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით, სასწრაფოდ უნდა აღმოფხვრათ. საჭიროა მშრომელთა სამედიცინო მომსახურება ახალ, მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ. ამისათვის ყოველდღიურად უნდა იზრუნონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, თვით ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა. მედიცინის მუშაკთა პატრიოტული ვალია მთელი თავიანთი ძალა და ენერგია მოახმარონ საბჭოთა ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლის — ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი სრულყოფის საქმეს.

ფართო გზა ტექნიკურ პროგრესს!

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის თაოსნობას, რომ ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს, ერთსულოვნად უჭერენ მხარს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, ჰიათურის მარგანეცის ტრესტის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივები. მათი გადაწყვეტილებაა დაუღალავად იბრძოლონ ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპისათვის, პროდუქციის გამოშვების მკვეთრი გადიდებისათვის.

★ ★

დაზოგილი მილიონები შვიდწლედის ფონდში

14 მაისს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო თეატრის შენობაში გაიმართა ეკონომიისათვის ბრძოლის მოწინავეთა საერთო საქალაქო თათბირი, რომელიც მოიწვიეს საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და „ზარია ვოსტოკას" რედაქციამ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს თბილისის საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, ნოვატორმა მუშებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა მუშაკებმა.

მოხსენება „ქალაქ თბილისის მრეწველობის მოწინავეთა ამოცანები შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შესაქმნელად" თათბირზე გააკეთა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. ჩხარტიშვილმა.

— სამ თვეზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, — ამბობს მომხსენებელი, — რაც მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXI ყრილობამ. ამ მოკლე პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტად გრანდიოზული საქმეები განხორციელდა.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივი არის ინიციატორი შვიდწლიანი გეგმის ადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელიც ფართოდ გაიშალა საქართველოში.

ქალაქის საწარმოთა კოლექტივებმა წარმატებით დაიწყეს შვიდწლედის პირველი წელი. მთლიანი პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის გეგმა თბილისის მრეწველობამ შეასრულა 104,8 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია ათეულ მილიონობით მანეთის ნაწარმი.

შვიდწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის შეჯიბრების მსვლელობაში იქმნება შრომის ახალი პროგრესული ფორმები. ქალაქის ქარხნებსა და ფაბრიკებში 250 ბრიგადა იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის მაღალი წოდებისათვის.

ქალაქის ბევრ საწარმოში ხორციელდება ღონისძიებანი, რომლებიც ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას და აიაფებენ მის თვითღირებულებას. ასეთ ღონისძიებებს მიეკუთვნება მთელი რიგი საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და კონვეიერიზაცია მანქანათსაშენებელ, ქვების, ფეხსაცმლის, სამკერვალო და სხვა საწარმოებში, ცალკეულ საწარმოთა მართვის უსაამრო სტრუქტურის შემოღება და სხვ.

მომხსენებელს მოჰყავს ზოგიერთი საწარმოს მუშაობის მაგალითები, რომლებშიც იმის გამო, რომ სუსტად არის დანერგული ახალი ტექნიკა, მოწინავე ტექნოლოგია და შრომის პროგრესული მეთოდები, ვერ სრულდება საწარმოო გეგმები, უყაირათოდ იხარჯება ნედლეული და მასალები, ირღვევა პროდუქციის თვითღირებულების გეგმა, უარესდება პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას, რომ გაიშალოს შეჯიბრება შვიდწლედის ფონდის შექმნისათვის ნედლეულის, მასალებისა და სახსრების ზეგეგმით ეკონომიის გზით, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი თბილისის საწარმოთა კოლექტივებმა. მიმდინარე წლის 4 თვეში მათ უკვე შეიტანეს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში 15 მილიონ მანეთზე მეტი.

საწარმოთა მუშაობისა და მოსამსახურეების ბრძოლაზე ნედლეულისა და მასალების ყაირათიანი ხარჯვისათვის, რაციონალიზატორ და გამომგონებელ მუშათა წვლილზე ილაპარაკეს კამათის მონაწილეებმა — ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. გ. მიქაბერიძემ, ამბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ოსტატის თანამემწყვ ამხ. დ. ალიბეგაშვილმა, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ორთქლმავალსამწყობო საამქროს უფროსმა ამხ. ა. მატიუხვმა, № 2 თამბაქოს ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ზ. ჯურმაევამ.

პარტიის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. კ. გოგლიძემ ილაპარაკა ლენინის რაიონის საწარმოთა კოლექტივების პირველ წარმატებებზე შვიდწლედის ფონდის შექმნისათვის ბრძოლაში. საწარმოებში ხორციელდება შრომატევადი საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია, რაც უეჭველია გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

თათბირზე გამოვიდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ამხ. ი. ჩხიკვიშვილი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოთა ყველა მუშისადმი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა მდივანმა ამხ. გ. ი. ქადაგიძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კ. ს. ციმაკურიძემ. (საქდესი).

ახალი ნაგიჯი წინ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი სიხარულით შეხვდა ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის მოწვევის შესახებ.



შესვენების დროს საამქროებსა, განყოფილებებსა და უბნებში გაიმართა ავიატორთა საუბრები, შედგა კრებები, მოეწყო ახრთა გაცხოველებული გაცვლა, მუშები ინტერესით გაეცნენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის მიმართვას და მოიწონეს იგი.

სიჩქარეთა კოლოფის საამქროს მუშათა კრებაზე ნრვატორმა ამწყობმა იოსებ ხაზარაძემ განაცხადა: — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განიხილავს ჩვენი პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებებს მრეწველობისა და მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. პლენუმის გადწყვეტილებები დაგვეხმარება წარმატებით შეგასრულოთ შვიდწლიანი გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანები, ახალი ნაბიჯი გადავდგათ წინ შემდგომი ტექნიკური პროგრესის გზაზე. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების სრულყოფას და ახალი ტექნიკის დანერგვას, ეს ჩანს თუნდაც ჩვენი საამქროს მაგალითზე. ამჟამად ვაწყობ კბილმოსამგვალებელ ახალ ჩარხს, რითაც ამ ოპერაციაზე შრომის ნაყოფიერება 30 პროცენტით გადიდდება. საამქროს კოლექტივი წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ მიმდინარე წელს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანოს 750 ათასი მანეთი.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი ვალდებულებები იკისრეს თვითსაცლელი მანქანების უბნის უფროსმა ოსტატმა გ. ჩოგოვაძემ, ამწყობებმა ტ. დუხდუამ და ც. მახარობლიძემ.

• • •

სურათზე: ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარ კონვეიერზე.

140.000 ჩაი ჩასასხმელად!

მოდის ქართული ჩაი!

★ ★

იცნობდეთ, გუშინ მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

თერჯოლა



თამარ ჯანელიძე რაისაბჭოს დეპუტატია. მან სოფელ ზედა სიმონეთის კოლმეურნეობაში მოკრიფა 40 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 კილოგრამისა.

მათიკო ტოფაძემ ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 50 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 10 კილოგრამისა.

ნათელა შუღლაძემ სოფელ ეწერის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 კილოგრამისა.

ქოგული ეთი

ფიქრიე ყურშუბაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. იგი სასახელოდ მუშაობს სოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. გუშინ მოკრიფა 50 კილოგრამი და ამით დღიური ნორმა 200 პროცენტით გაანაღდა.

წულუკიძე

ფაცია მესხი ბეჯითად შრომობს სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 39 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და დავალება ორმაგად გაანაღდა.

ნანული ჩომახიძე სოფელ გორა ჯიხაიშის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეა. იგი ჩაის ფოთოლს კრეფს ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 42 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 22 კილოგრამისა.

ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში წარმატებით კრეფენ ფოთოლს. **სურათზე:** მოწინავე მეჩაიე ნ. სურმანიძე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ფოთლის გადაზიდვა ფერხდება

ტყიბულის ჩაის ფაბრიკა ამ ერთი კვირის წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ. მან უკვე რამდენიმე ათეული ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი გადაამუშავა.

მაგრამ ფაბრიკამ ჯერ კიდევ ვერ დაძლია ჩამოყალიბების პერიოდის სიძნელეები. იგრძნობა დეფიციტური მასალების ნაკლებობა, მოუგვარებელია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. ფაბრიკის ნორმალურ მუშაობას ყველაზე მეტად ავტომანქანების ნაკლებობა აფერხებს. ამჟამად ფაბრიკას ჰყავს ოთხი ავტომანქანა, ხოლო საჭიროა სულ მცირე შვიდი. ეს იწვევს მოკრეფილი ჩაის ფოთლის დაგვიანებით მოზიდვას ფაბრიკაში, რაც აუარესებს პროდუქციის ხარისხს. მაგალითად, 9 მაისს თერჯოლის ჩაის მიმღებ პუნქტში დიდძალი ფოთოლი დაგროვდა, მაგრამ ფაბრიკამ ვერ უზრუნველყო მისი იმავე დღეს გადამუშავება. უმანქანობის გამო 11 მაისს ფაბრიკის მუშათა სასადილოში პური ვერ მოიტანეს, რამაც მუშათა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

საქართველოს ჩაის ტრესტი ოპერატიულად უნდა დაეხმაროს ახალ ფაბრიკას ავტოტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებაში.

ვ. ციბერკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მოკრეფილია 343 ტონაზე მეტი ფოთოლი

წყალტუბო. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში დღითიდღე ძლიერდება ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. ასეთი წარმატებები წყალტუბოელებს თითქმის არც ერთ წელს არა ჰქონიათ. სულ მოკრეფილია 343,4 ტონა ჩაის ფოთოლი. მოკრეფილი ნედლეული მთლიანად პირველი ხარისხისაა. მარტო 13 მაისს რაიონში მოიკრიფა 38 ტონამდე ჩაის ფოთოლი.

სეზონის დაწყებიდან დღემდე ჩაის კრეფის მაის-ივნისის გეგმა რაიონში შესრულებულია 31,3 პროცენტით, წლიური — 14,6 პროცენტით. მეტი ჩაისათვის ბრძოლაში დაწინაურდა სოფელ გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც მარტო 13 მაისს მოკრიფა 7.284 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ასევე წინ მიდიან მაღლაკის რუსთაველის სახელობის, ამავე სოფლის სტალინის სახელობის, ოფურჩხეთის სტალინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგებო!

გულწრფელ მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს თქვენი მხურვალე მოლოცვისათვის, რომელიც ჩვენ გამოგვიგზავნეთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარედ და სახელმწიფო საბჭოს პრემიერად ჩვენი არჩევისა და დანიშვნის გამო.

საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალისტური ბანაკის მეგობრობა და ერთობა წარმოადგენს ყველა მოძმე ქვეყნის მძლავრი ძალების წყაროს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეში გამარჯვებათა მოპოვებისათვის.

ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის სამარადისო, ურღვევი და ძმური მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა, რომლებიც ემყარებიან მარქსიზმ-ლენინიზმის დიად პრინციპებს, წარმოადგენენ სოციალისტური ბანაკის ძლიერების ზრდის დიდმნიშვნელოვან გარანტიას, აგრეთვე მძლავრ ფაქტორს მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში.

გისურვებთ, რომ დიდმა საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო ბრწყინვალე წარმატება მოიპოვოს კომუნიზმის მშენებლობისა და საყოველთაო მშვიდობის დაცვის კეთილშობილურ საქმეში.

გისურვებთ ჯანმრთელობას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე
ლიუ შაო-ცი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ჯუ დე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი

პეკინი, 1959 წლის 14 მაისი.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მოლდავეთში

კიშინიოვი, 14 მაისი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს ქალაქის ათასობით მშრომელნი, სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციები, რომელნიც მოლდავეთის ყველა რაიონიდან ჩამოვიდნენ, მოვიდნენ რესპუბლიკურ სტადიონზე გამართულ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა მოლდავეთის სს რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადაცემას.

16 საათია. მთავრობის ლოჟაში შემოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ვ. პოდგორნი, მოლდავეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები ზ. ტ. სერდიუკი, ა. ფ. დიორდიცა, ი. ს. კოდიცა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. მ. ჯაფარლი და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

შეკრებილნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ მათ.

მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ზ. ტ. სერდიუკმა მოკლე სიტყვით გახსნა მიტინგი.

მიტინგზე გამოვიდნენ ჩადირ-ლუნგის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი დ. ზ. ჩეკირი, კიშინიოვის ქარხნის „ავტოდეტალის" ზეინკალი ამხ. ს. პ. ნაგოვიცინი, კიშინიოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ე. ა. რუსნაკი და მწერალი ა. პ. ლუპანი.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

* * *

კიშინიოვი, 15 მაისი. (საკდესი). დღეს კიშინიოვის ათიათასობით მცხოვრები გამოვიდა ქუჩებში, რათა გაეცილებინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც კიშინიოვიდან მიემგზავრებოდა.

აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის მეთაური გააცილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ზ. ტ. სერდიუკმა, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ფ. დიორდიცამ, მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ი. ს. კოდიცამ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. მ. ჯაფარლიმ და სხვებმა.

13 საათსა და 48 წუთზე თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა და აიღო კურსი მოსკოვისაკენ.

* * *

იმავე დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა აქტივის თათბირის მიმართვა

რესპუბლიკის ყველა ექიმს, ფარმაცევტს, მედიცინის დას, სანიტარს, სამედიცინო ინსტიტუტისა და საშუალო სამედიცინო სასწავლებლების მასწავლებლებს, დოცენტებს, პროფესორებს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლებსა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა და დაწესებულებათა ყველა მუშაკს

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებენ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიდებულ პროგრამას.

ასრულებენ რა სკკპ XX ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მიაღწიეს ეკონომიკის, კულტურისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ახალ მძლავრ აღმავლობას.

უკანასკნელ წლებში განხორციელებულ უდიდეს ღონისძიებათა შედეგად უზრუნველყოფილია ეროვნული შემოსავლისა და ხელფასის განუწყვეტელი ზრდა, გადიდდა პენსიების და დახმარების ოდენობა; მცირდება სამუშაო დღის ხანგრძლივობა, ფართოვდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, მნიშვნელოვნად უმჯობესდება მოსახლეობის კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება; ფართო გაქანება მიიღო საბინაო მშენებლობამ.

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ღრმა ცვლილებებს მოწმობენ მოსახლეობის აღწერის მონაცემები, რომლის შედეგები თვალნათლივ გვიჩვენებენ მაღალ შობადობას, სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირებას, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში, და საბჭოთა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის გადიდებას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც სკკპ XXI ყრილობამ მიიღო, გამსჭვალულია ნამდვილი ზრუნვით ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის და შესანიშნავი განხორციელებაა ლენინური წინასწარდასახულობისა მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვის, ხალხის ფართო მასების დასვენებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნის შესახებ. ეს დებულებანი საფუძვლად უდევს სოციალისტური წყობილების თვით არსს და უმაგალითო სიმაღლეზეა აყვანილი ჩვენში.

ჩვენი რესპუბლიკის მედიკებმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური დახმარებით მიაღწიეს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მთელი საქმის გაუმჯობესებას. გადიდდა საავადმყოფოებისა და სანატორიუმების საწოლთა რიცხვი, გაიზარდა აფთიაქთა ქსელი. შესამჩნევად გაუმჯობესდა სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაცია და დაყენება, ამაღლდა სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია. მნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულეს სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა. საქართველოს მეცნიერმა მედიკებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა სამედიცინო მეცნიერებაში.

მნიშვნელოვნად შემცირდა ტუბერკულოზით, ტიფით დაავადება, პრაქტიკულად აღმოფხვრილია მალარია.

საქართველოს სსრ განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ჯანმრთელობის დაცვის მატერიალური ბაზის შემდგომი ზრდა. საავადმყოფოების საწოლთა რიცხვი გადიდდება 10.800 ერთეულით, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში — 2.100 ერთეულით, ხოლო ადგილების რიცხვი საბავშვო ბაგებში — 6 ათასით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს დაუსახა საპატიო და კეთილშობილური ამოცანები — აამაღლონ პროფილაქტიკური მუშაობის დონე, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების კულტურა და ხარისხი, უზრუნველყონ სამედიცინო მეცნიერების შემდგომი განვითარება.

ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მეცნიერების წარმატებანი უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, რომ ამაღლდეს თვითეული ჩვენგანის პირადი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, ამაღლდეს ჩვენი შეგნებულობა, გაძლიერდეს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა და პარტიისა და ხალხის წინაშე მაღალი მოვალეობის გრძნობა.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სრულყოფილ პროფილაქტიკის, საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი პრინციპის, მისი გენერალური ხაზის მეთოდები.

მთელი ძალები და საშუალებანი პირველ რიგში უნდა მივახმაროთ ინფექციურ დაავადებათა, გულის სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა, ტუბერკულოზის, კიბოს და სხვა ავთვისებიან ახალ წარმოქმნათა პროფილაქტიკასა და მკურნალობას. კიბოს წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა.

საჭიროა აგრეთვე გავაძლიეროთ გრიპის პროფილაქტიკა, მივაღწიოთ იმას, რომ აღმოიფხვრას გრიპის წარმოშობის ხელშემწყობი ფაქტორები.

ავადმყოფობათა პროფილაქტიკის სისტემაში უდიდესი როლი ეკუთვნის საერთო სანიტარიულ ნორმებს. ჩვენ მოვუწოდებთ მედიცინის ყველა მუშაკს, წითელი ჯვრის აქტივს, საზოგადოებრივ-სანიტარიულ ინსპექტორებს, კულტურის, განათლების, კომუნალურ-საბინაო მეურნეობის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს, ჩვენს ახალგაზრდობას, მოსწავლეებს დაიწყონ შეტევა ინფექციურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ; იბრძოლონ ქალაქებისა და დასახლებული ადგილების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; აამაღლონ სანიტარიული კულტურა სამრეწველო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, კვების ობიექტებში და პირველ რიგში მოსპონ ბუზები, მღრღნელები და ინფექციურ ავადმყოფობათა სხვა გამავრცელებელნი.

ჩვენ მოვალენი ვართ მნიშვნელოვნად გავაფართოოთ სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდა მოსახლეობის ფართო მასებში, რადგან მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება განვახორციელოთ ჰიგიენური და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებანი ყოფაცხოვრებასა და წარმოებაში, ავამაღლოთ მოსახლეობის სანიტარიული კულტურა.

უნდა გამოვიყენოთ სანიტარიულ-საგანმანათლებლო პროპაგანდის სულ სხვადასხვა ფორმა, დაწყებული გულისხმიერი საუბრით პაციენტსა და მისი ოჯახის წევრებთან და დამთავრებული გამოფენებით, კინოფილმებით, რადიოთი და სატელევიზიო გადაცემებით.

ბრძოლა მაღალი სანიტარიული კულტურისათვის ჯანმრთელობის დაცვის ყველა მუშაკის ღვიძილი საქმეა.

რესპუბლიკის სამედიცინო მუშაკებმა უნდა აამაღლონ მოსახლეობის მომსახურების კულტურა და სამედიცინო მეცნიერების მიღწევების დანერგვის საფუძველზე გააუმჯობესონ დიაგნოსტიკისა და ავადმყოფთა მკურნალობის ხარისხი.

ყოველი ღონისძიებით უნდა გავაუმჯობესოთ პოლიკლინიკების — ჯანმრთელობის დაცვის მთავარი და წამყვანი რგოლის მუშაობა. უნდა განვამტკიცოთ როლი და ავტორიტეტი უბნის ექიმისა, რომელზეც, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების ხარისხი.

მედიცინის მუშაკებმა, რომლებიც სამრეწველო საწარმოთა მუშებს ემსახურებიან, უნდა გაუმჯობესონ სამედიცინო-სანიტარიული მომსახურების ხარისხი და აამაღლონ მისი კულტურა. ფართოდ უნდა დავნერგოთ მუშაობის პრაქტიკაში საამქროს პრინციპი და დისპანსერული მეთოდები, უნდა მივაღწიოთ საერთო და პროფესიული დაავადების და საწარმოო ტრავმატიზმის შემდგომ შემცირებას.

სამედიცინო-სანიტარიული ნაწილების, ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების, პოლიკლინიკების მუშაკები უნდა გახდნენ წამომწყებნი და აქტიური მებრძოლნი იმისათვის, რომ განხორციელდეს შრომის შემდგომი გაჯანსაღების ღონისძიებანი ფაბრიკებში, ქარხნებში, შახტებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში.

სოფლის მედიცინის მუშაკებს მინდობილი აქვთ დიდი და საპატიო საქმე — სოფლის მეურნეობის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა. ეს გვავალებს გავაძლიეროთ მუშაობა იმისათვის, რომ შემდგომ დავნერგოთ სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებანი კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომასა და ყოფაცხოვრებაში, და უზრუნველვყოთ დაავადების შემდგომი განუხრელი შემცირება, სოფლის მოსახლეობის ფიზიკური მდგომარეობისა და ჯანმრთელობის განმტკიცება.

საჭიროა მნიშვნელოვნად გავაქტიუროთ დისპანსერული მეთვალყურეობა კოლმეურნეებისადმი, სისტემატურად ვუკვლევდეთ ანალიზს გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა შედეგებსა და ეფექტიანობას.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, სამედიცინო ინსტიტუტების კლინიკები, რესპუბლიკური და საქალაქო სამკურნალო დაწესებულებანი მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით დაეხმარონ სოფლის სამკურნალო დაწესებულებებს მთელი საქმიანობის გაუმჯობესებაში. მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ექიმები და მეცნიერი მუშაკები სისტემატურად დიდი ხნით უნდა მიდიოდნენ დაშორებულ რაიონებსა და სოფლის სამკურნალო დაწესებულებებში.

აქტივის კრება მოითხოვს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსაგან უახლოეს ხანში უზრუნველყოს ექიმთა დანიშვნა ვაკანტურ თანამდებობებზე, უწინარეს ყოვლისა მაღალმთიან და სასაზღვრო რაიონებში.

მედიცინის მუშაკები უფრო აქტიურად უნდა ჩაებან სოფლის სასმელი წყლის ჭებისა და სოფლის წყაროების სანიტარიული მდგომარეობის ყოველმხრივ გაუმჯობესების საქმეში, პროპაგანდა უნდა გაუწიონ მოსახლეობაში სიბინძურის მოსპობის, ნაგვის კომპოსტირებისა და დაწვის მეთოდებს, გასწიონ აგიტაცია საკოლმეურნეო აბანოების დაჩქარებული მშენებლობისათვის.

ჩვენ მივმართავთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქციებს, აგრეთვე პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას და ვთხოვთ ფართო პროპაგანდა გაუწიონ რესპუბლიკის ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებებს, გააკრიტიკონ ნაკლოვანებანი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ინიციატივის პოპულარიზაციას.

ამავე დროს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა აქტივის კრება სთხოვს სოფლების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს უფრო აქტიურად გამოიყენონ კოლმეურნეობათა სახსრები სოფლის სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობისათვის, გამოიჩინონ მუდმივი ზრუნვა იმისათვის, რომ უზრუნველყონ სოფლის ექიმი ბინით, განათებით, გათბობითა და ტრანსპორტით უფასოდ.

ჩვენ აგრეთვე მივმართავთ სამშენებლო ორგანიზაციებს, ყველა მშენებელს, რომლებსაც მინდობილი აქვთ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობა, აშენონ სწრაფად, მაღალხარისხოვნად და იაფად.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანაში ქალი — დედა განსაკუთრებული მზრუნველობით არის გარემოსილი. დედისა და ბავშვის დაცვისათვის საბჭოთა სახელმწიფო დიდ სახსრებს ხარჯავს. მიმდინარე შვიდწლედში დასაბუნებელია მნიშვნელოვანი ზრდა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან დედისა და ბავშვის ჯანმრთელობა. ყოველივე ეს ჩვენგან, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისაგან, მოითხოვს გავაძლიეროთ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა, ავამაღლოთ მუშაობის დონე ქალთა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, უზრუნველვყოთ პატრონაჟი ორსულობის ადრეულ სტადიაში; სამშობიარო სახლებისა და სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკების მუშაობაში დავნერგოთ მშობიარობის დახმარების უახლესი საშუალებები და მეთოდები, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ახალშობილთა მოვლას.

ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა, განსაკუთრებით დიფთერიის შემდგომი შემცირებისათვის, მათ შორის პროფილაქტიკური აცრის თავის დროზე განხორციელებისათვის.

ჩვენი წმიდათა-წმიდა მოვალეობაა დავეხმაროთ მშობლებს ჯანსაღი თაობის აღზრდაში, გავშალოთ ქმედითი მუშაობა იმის ახსნა-განმარტებისათვის, თუ რაოდენ მავნეა აბორტი, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ქალის ჯანმრთელობას და ოჯახს,

იმ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსში, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცება, მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით ჩვენს კურორტებს. მედიცინის მუშაკებმა უფრო რაციონალურად უნდა გამოიყენონ მათი უმდიდრესი სამკურნალო ფაქტორები, გააუმჯობესონ ავადმყოფთა და დამსვენებელთა სამკურნალო პროცესისა და კულტურული მომსახურების ორგანიზაცია.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით უნდა მიიღონ ღონისძიებანი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების შემდგომი კეთილმოწყობისა და ფართო გამოყენებისათვის.

სამკურნალო პროცესის ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სამკურნალო დაწესებულებათა და მოსახლეობის დროულად და ხარისხოვნად უზრუნველყოფას ზედიკამენტებით.

რესპუბლიკის აფთიაქის მუშაკებმა განუწყვეტლივ უნდა აუმჯობესონ აფთიაქების მუშაობის კულტურა, სრულყონ წამლების დამზადების ტექნოლოგია, აამაღლონ მათი ხარისხი, გააუმჯობესონ საფთიაქო ქსელის დისლოკაცია, განსაკუთრებით სოფლად.

ხალხის ჯანმრთელობის დაცვაში მაღალხარისხოვანი მაჩვენებლების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სამედიცინო მეცნიერების შემდგომი განვითარების პირობებში.

ჩვენ მოვუწოდებთ მეცნიერ მედიკებს მთელი თავიანთი ძალღონე და საშუალებანი წარმართონ უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, რომლებსაც პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვთ. საჭიროა მუდამ განვამტკიცებდეთ სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირს პრაქტიკასთან, ფართოდ და სწრაფად ვნერგავდეთ ავადმყოფობათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის უახლეს მეთოდებს.

თათბირის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმის განხორციელება მოითხოვს სამკურნალო და სამეცნიერო დაწესებულებათა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისაგან და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისაგან შემდგომ გაუმჯობესონ მთელი მუშაობა სამედიცინო კადრების აღზრდისათვის, მათი შეგნებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, შრომისმოყვარეობისა და კოლექტივიზმის. საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების სულისკვეთებით ახალი ადამიანის ფორმირებისათვის. კომუნისტური აღზრდის, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრისა და მარქსისტულ-ლენინური მომზადების დონის ამაღლების საკითხები ამ ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა აქტივის თათბირის მონაწილენი, სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის გახანგრძლივების დარგში დასახეს, პირნათლად იქნება შესრულებული.

ლენინიზმი—ჩვენი ეპოქის დროშაა

ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოქვეყნებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

14 მაისს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში შედგა სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოქვეყნების 50 წლისთავს.

გაერთიანებული სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ალ. დოლიძემ.

ვ. ი. ლენინის გენიალურ შრომას „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, აღნიშნა ამხ. დოლიძემ, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკურ ნაწარმოებთა შორის. იგი წარმოადგენს მარქსისტული ფილოსოფიის ფუძეებისა და განვითარების შესანიშნავ ნიმუშს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია, მუშათა კლასის მთელი რევოლუციური, გარდამქმნელი საქმიანობა წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმის კანონების შეგნებული გამოყენების ნიმუშს. პარტია ღრმად სწავლობს სოციალურ-ეკონომიურ პროცესებს, შეიცნობს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების მოთხოვნებს, ხალხის მასების ინტერესებს და ამ საფუძველზე აყალიბებს პოლიტიკურ ხაზს.

კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც მიღებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე, შემუშავებულია განვითარების ობიექტური კანონების მოთხოვნათა ყოველმხრივი გათვალისწინების საფუძველზე.

დადგა ისეთი ისტორიული პერიოდი ფილოსოფიის განვითარებაში, ამბობს ამხ. დოლიძე, როცა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი წარმოადგენს კომუნიზმის ყველა შეგნებული და აქტიური მშენებლის მსოფლმხედველობას, ხდება ყველა სოციალისტური ქვეყნის მშრომელთა მსოფლმხედველობა. ჭეშმარიტად ხალხის მასებს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სახით აქვთ უბადლო სულიერი იარაღი, ხოლო ფილოსოფიას მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა სახით — ურღვევი მატერიალური ძალა. ემყარება რა დიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფიის გრანიტის საფუძველს, ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი მოძღვრებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხს მიუძღვის ლენინური გზით კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

სესიამ მოისმინა დოც. ს. ლარცულიანის მოხსენება: „ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ უდიდესი განძია მარქსისტულ ფილოსოფიაში“.

— ვ. ი. ლენინის ამ გენიალურმა ნაშრომმა, — ამბობს მომხსენებელი, — პასუხი გასცა ყველა იმ კითხვაზე, რაც მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებით იყო დასმული ფილოსოფიის წინაშე.

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი დოც. ვ. ესაიაშვილის მოხსენება „ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და საქართველოს ბოლშევიკები“. მომხსენებელმა ახალი დოკუმენტებითა და სხვა მასალებით გააშუქა საქართველოს ბოლშევიკების მტკიცე დარაზმულობა, მონოლითური ერთიანობა მახინჯის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოიყვანა იმის მაგალითები, თუ რა შეურიგებლად იბრძოდნენ მარქსისტული ფილოსოფიის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ ქართველი ბოლშევიკები. ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ საქართველოს ბოლშევიკებმა თვიდანვე მიიჩნიეს ბასრ იდეურ იარაღად პარტიისა და პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში.

პროფ. მ. მირიანაშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და ფიზიკის ფილოსოფიური საკითხები“.

— ვ. ი. ლენინის ისტორიული დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, — აღნიშნავს მომხსენებელი, — რომ მან დაიცვა მეცნიერება იდეალიზმისა და ფიზიკიზმის თავდასხმისაგან. ლენინმა ღრმა ანალიზი გაუკეთა იმას, თუ რაში მდგომარეობდა „ფიზიკური“ იდეალიზმის არსი, სად იყო მისი სოციალური ფესვები და რატომ მოექცა იგი ჩიხში. ლენინმა თავისი ფილოსოფიური ნაშრომით როგორც ყველა მეცნიერებას, ისევე ბუნებისმეტყველებას მისცა უტყუარი მეთოდოლოგია შემდგომი წინსვლისა და განვითარებისათვის.

„ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ მნიშვნელობა თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“ — ასეთი იყო ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ო. ბაკურაძის მოხსენების თემა.

— თანამედროვე ეტაპზე, — ამბობს მომხსენებელი, — როცა მუშათა მოძრაობაში მთავარ საფრთხეს რევიზიონიზმი წარმოადგენს, დიდი ლენინის ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რევიზიონიზმის იდეური განადგურებისათვის. ეს ნაშრომი იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა ბრძოლა თეორიული სიწმინდისათვის, ყველა დამმახინჯებელთა წინააღმდეგ.

მეცნიერება და ტექნიკა

საზომი ხელსაწყოები საერთაშორისო გამოფენაზე



მბრუნავ ლილვებზე დახარჯული სიმძლავრის საზომი — დინამოგრაფი „ვდ-4“.

1959 წლის 25 იანვრიდან 25 მარტამდე მოსკოვში მოწყობილი იყო საზომი და საკონტროლო მანქანებისა და ხელსაწყოების მოძრავი საერთაშორისო გამოფენა. გამოფენაზე მოქმედებდა ხუთი პავილიონი: საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიისა. მათში ნაჩვენებიყო 1.200-ზე მეტი სხვადასხვა საზომი და საკონტროლო ხელსაწყო, განკუთვნილი სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

საბჭოთა კავშირის პავილიონში სხვა ხელსაწყოებთან ერთად წარმოდგენილი იყო აკადემიკოს გ. შუბაცაბაიას მიერ შექმნილი თერმეტი სხვადასხვა საზომი მანქანა და ხელსაწყო, რომლებსაც იყენებენ ტრაქტორების, კომბაინების, მისაბმელი და საკიდი სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ავტომობილების და სხვა თვითმავალი მანქანების ენერგეტიკული მაჩვენებლების (ძალის წინაღობის, მბრუნავი მომენტის, დახარჯული სიმძლავრისა და მექანიკური მუშაობის) გასაზომად. მანქანების ენერგეტიკული მაჩვენებლების ზუსტი შესწავლა საფუძვლად ედება ახალი მოწინავე ტექნიკის შექმნას, მათი კაექსპლოატაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებას, სატრაქტორო აგრეგატების გამომუშავების ნორმების დადგენას და ამ მანქანებისათვის საჭირო ხარჯვის ნორმირებას.

საქართველოდან გაგზავნილმა საზომმა ხელსაწყოებმა გამოფენაზე დიდი მოწონება დაიმსახურა. საერთაშორისო გამოფენის ჟიურის გადაწყვეტილებით უმაღლესი ჯილდო — დიპლომი მიენიჭა აკადემიკოს გ. შუბაცაბაიას მიერ შექმნილ ენერგომეტრიულ მანქანას, რომელიც შედგება საზომების კომპლექსისაგან, მასში შედიან წევითი და ბრუნვითი დინამოგრაფები და წევითი და ბრუნვითი მექანიკური მუშაობის მთვლელები. აღსანიშნავია, რომ ენერგომეტრიული მანქანებიდან დაჯილდოებულია მხოლოდ საქართველოს ექსპონატი. გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით აკადემიკოს გ. შუბაცაბაიას მიერ შექმნილი საზომი ხელსაწყოები — ენერგომეტრიული მანქანა, მბრუნავ ლილვებზე დახარჯული სიმძლავრის საზომი დინამოგრაფი, ხნულის საშუალო სიღრმისა და დამუშავებული ფართობის ავტომატური საზომი და მბრუნავი ლილვების კუთხური სიჩქარისა და აჩქარების თვითჩამწერი საზომი — ტახოგრაფი ნაჩვენები იქნება გამოფენებზე ქალაქებში ლაიფციგში, ბუდაპეშტში, პრაღაში, ვარშავაში და სოფიაში. ეს ექსპონატები უკვე გაგზავნა ლაიფციგში, სადაც 15 ივნისს გაიხსნება საზომი ხელსაწყოების მოძრავი საერთაშორისო გამოფენა.

ეს ხელსაწყოები ფართოდ ჩვენების მიზნით გამოფენილი იქნება აგრეთვე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონში.





სურათებზე: ენერგომეტრიული მანქანა „ეტ-1“ (ზევით) და მბრუნავი ლილვების კუთხური სიჩქარისა და აჩქარების საზომი — ტახოგრაფი.

მუნიციპალთა ღამის სანატორიუმი

თბილისიდან რუსთავში მიმავალი მგზავრის ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს რკინიგზის პირას მწვანე სამოსელში გახვეული ღამაზი შენობა.

ეს რუსთავის მშენებლობის ღამის სანატორიუმია.

რა პირობები აქვთ დამსვენებლებს ღამის სანატორიუმში? დასვენების ვადა 24 დღეა, კვება — 4-ჯერ დღეში. ყველა დამსვენებელი მუშაობის შემდეგ სანატორიუმში ბრუნდება და მთელ დარჩენილ დროს სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. დამსვენებელთა განკარგულებაშია სუკეთესო სასადილო, ბანაო, ტელევიზორი, რადიომიმღები, სასპორტო მოედნები და სხვა.

წელს აქ დაისვენეს ელექტროშემღუდველმა ი. მიქაძემ, მძღოლმა ა. მაისურაძემ, მემონტაჟე გ. სიმონენკომ, ამწყობმა ვ. გნეზდოვმა, ზეინკალმა მ. მამუკელაშვილმა და სხვებმა.

— ამჟამად სანატორიუმში ერთდროულად 25 კაცი ისვენებს, — ამბობს, მთავარი ექიმი ვ. ჯადაგონიძე, —ახლო მომავალში კი, როცა შენობის რეკონსტრუქცია დამთავრდება, 50 კაცი დაისვენებს.

ზ. მერკვილაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეგობართა შეჯიბრება

...რომ ელმავლებმა გადასერონ სამშობლოს თვალუწვდენელი სივრცეები

უკვე მეორე წელია ეჯიბრებიან ერმანეთს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობისა და ნოვოჩერკასკის ბუდონის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნების კოლექტივები.

შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შედეგების შემოწმების მიზნით ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა ნოვოჩერკასკელთა დელეგაცია ხუთი კაცის შემადგენლობით. ისინი გაეცნენ საწარმოს საამქროთა, განყოფილებათა მუშაობას, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი. შემდეგ კი ორივე საწარმოს კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობით მოეწყო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება.

გამოირკვა, რომ გასულ წელს უკეთესად იმუშავეს ნოვოჩერკასკელებმა და შეჯიბრებაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ. თბილისელებს უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში ხელი შეუშალა იმან, რომ ახალგაზრდა საწარმო მთელი დატვირთვით ვერ მუშაობდა, მწყობრში არ იყო ჩამდგარი ქარხნის სიმძლავრეები, წარმოებდა ელმავლების, მათი ნაწილების გამოშვების ათვისება, მანქანა-დანადგართა გამოცდა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი ორივე საწარმომ თანაბრად გაანაღდა ნაკისრი ვალდებულებანი. შვიდწლედის პირველი წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ნოვოჩერკასკის ქარხანას გადაეცა რუსეთის სფს რესპუბლიკისა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო თბილისელ ელმავალმშენებლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამას წინათ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კლუბში გაიმართა საწარმოს აქტივის გაფართოებული თათბირი, რომელიც მიეძღვნა თბილისელ და ნოვოჩერკასკელ ელმავალმშენებლთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების განხილვას. თათბირი გახსნა საქართნო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ლომიძემ. ნოვოჩერკასკელთა მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. ფედოტოვმა. თბილისელთა საქმიანობაზე ილაპარაკა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ს. სარიშვილმა. ჟიურის მუშაობის შედეგები დამსწრეთ გააცნო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ა. მასხარაშვილმა.

თათბირის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ნოვოჩერკასკის ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. სოკოლენკომ. თბილისელებიდან სტუმრებს მიესალმნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზეინკალი ა. გელაშვილი, ელექტროსამანქანო საამქროს უფროსი ვ. ჩხეიძე, ზეინკალი ვ. ელიზარაშვილი.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა დაწვრილებით ილაპარაკეს იმ დიდ პოლიტიკურ და შრომით აღმავლობაზე, რომელიც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევამ 1959 წლის 24 ივნისს. ორივე საწარმოს კოლექტივის სახელით მან პირობა დადეს, რომ ენერგიულად იბრძოლებენ შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

...თი წელიწადი შესრულდა, რაც ...ბამოწეს გარშემო მოძრაობს მესა... ...ბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი, ...ლიც 1958 წლის 15 მაისს იქნა გა... ...ლი. ამ ხნის განმავლობაში თანა... ...ბრი 5.100 და უფრო მეტჯერ შემო... ...და დედამიწის გარშემო და იფ... ...კიდევ მიმდინარე წლის ზაფხუ... ...და შემოდგომის განმავლობაში.

...დამიწის სამი ხელოვნური თანა... ...ბრისა და კოსმოსური რაკეტის გა... ...ს სსრ კავშირში საბჭოთა მეცნიე... ...ბა და ტექნიკის შესანიშნავი გა... ...ება, სოციალისტური წყობილების ...ელწარიანობისა და ძლიერების ...ა დემონსტრაციაა. საბჭოთა კავ... ...ა კოსმოსური სივრცის გამოკვლე... ...ში მუშაობა წარმატებით განვითარე... ...ბელი გახდა იმ უდიდესი უუ... ...ების მეოხებით, რასაც კომუნის... ...ა პარტია და საბჭოთა მთავრობა სა... ...ა განათლებას, მეცნიერებას აქცე... ...ამის შედეგად საბჭოთა კავშირში ...ალი ხელსაყრელი პირობები მეც... ...ებისა და ტექნიკის აყვავებისათვის. ...ერთი მიღწევებს მაღალი შეფასება ...ა საბჭოთა ქვეყანაში. სკკპ XXI ...ობის მაღალი ტრიბუნიდან მად... ...ა გამოცხადდა ყველას, ვინც მონა... ...ობდა თანამგზავრებისა და კოსმო... ...რაკეტის შექმნისა და გაშვებაში. ...ჩვენს მეცნიერებს აღფრთოვანებს ...ა მეცნიერული საგმირო საქმეები...

...ენს ქვეყანაში დედამიწის პირველ ...ნური თანამგზავრთა შექმნა, — ...და სკკპ XXI ყრილობაზე ამხანა... ...ნ. ხრუშჩოვი, — საბჭოთა კოსმო... ...რაკეტის გაშვება, რომელიც მზის ...ების პირველი ხელოვნური პლანე... ...ბდა, მთელი ეპოქა კაცობრიობის ...ერული ცოდნის განვითარებაში. ...ომენიმის ამენების ეპოქის დიდე... ...ა მოვლენაა.

...როგორ არ გვიხაროდეს ასეთი ...ტენი ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს! ...ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ...ᲕᲜᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ...ᲒᲖᲐᲕᲠᲘ ᲘᲧᲝ; ᲛᲖᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ...ᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲙᲚᲐᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲑ... ...ᲗᲐ ᲙᲚᲐᲜᲔᲑᲐ.

...ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲒᲖᲐᲕᲬᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲩᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲝᲕᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲣᲜᲯᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ



მშრომელთა დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია თბილისში ვაკის კულტურისა და დასვენების პარკი. **სურათზე:** პარკის ერთი კუთხე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თ ბ ი ლ ი ს ი

ქალაქის ქრონიკა

ხელოვნების ამგები

ახალი სპექტაკლი

12 მაისს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. აბაშიძის დრამატული პოემა „მუმლი მუხასა“ (ლეგენდა პირველ თბილისელებზე). სპექტაკლის დადგმა განახორციელა რეჟისორმა შ. ქარუხნიშვილმა, მხატვრულად გააფორმა ახალგაზრდა მხატვარმა თ. მირზაშვილმა, მუსიკა დაწერა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა, ცეკვების დადგმა ეკუთვნის აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს გ. ოდიკაძეს.

სპექტაკლში მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ანჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ა. ომიაძე, პ. კობახიძე, ა. გომელაური, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. თბილელი, ე. მაღალაშვილი, ა. სიხარულიძე, მსახიობები დ. ჭეთაოელაძე, ვ. ციცქიშვილი, ვ. ცხვარიაშვილი, ფ. სონღულაშვილი, შ. ქოჩორაძე, ა. ვერულეიშვილი, ნ. აფაქიძე, ლ. შოთაძე და სხვ.

რუსთაველის სახელობის თეატრში

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა პ. კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“. ყვარყვარეს როლს ასრულებდა ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მსახიობი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მიხეილ ვაშაძე. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო

„კოლმეურნის სასტუმრო“

ასეთი წარწერა გაუკეთდა ახალ სამსართულიან სახლს, რომელიც ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე აშენდა. უახლოეს დღეებში სასტუმრო თავის პირველ სტუმრებს მიიღებს.

„კოლმეურნის სასტუმროს“ აქვს ორადგილიანი და ოთხადგილიანი ნომრები. სულ აქ ას კაცზე მეტი მოთავსდება. ზედა სართულზე რამდენიმე ოთახი გამოყოფილია სამკითხველოსათვის, ჭადრაკის, შაშისა და ნარდის თამაშისათვის, სატელევიზიო გადაცემათა სეანსებისათვის.

კოლმეურნეთათვის მოწყობილია საშხაპეები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა სათავსები.

ყველაზე დიდი მაგისტრალი ქალაქში

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისელებმა საჩუქრად მიიღეს კეთილმოწყობილი მაგისტრალი, რომელმაც უმოკლესი გზით ვაკე დაუკავშირა საბურთალოს. ამჟამად კი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს ქალაქის მარცხენა ნაპირის ზედა ტრასაზე გაპყავს კიდევ ახალი მაგისტრალი, რომელიც ლენინის რაიონს ოქტომბრის რაიონის გავლით უმოკლესი მანძილით დაუკავშირებს 26 კომისრის რაიონთან. იგი დაიწყება ოქტომბრის ქუჩიდან და ნავთლუღში აეროდრომის ახლოს შეუერთდება კახეთის გზატკეცილს.

მაგისტრალი გაპყვება რკინიგზის მარცხენა მხარეს, მისი სიგრძე 5 კილომეტრი, ხოლო სიგანე 50 მეტრი იქნება. მის სავალ ნაწილზე ტრანსპორტი იქნა 6 ნაკადად.

მშენებლობა დაწყებულია. მელანის ხევში მიმდინარეობს ღვარსაშვებებისა და კოლექტორების აგება. ამ ცოტა ხანში მუშაობა დაიწყება არსენალის ხევში, რომლის ამოსავსებად გათვალისწინებულია 200.000 კუბური მეტრი მიწის ჩაყრა.

ახალი საჰაერო მარშრუტები

სულ უფრო ფართოვდება საჰაერო მიმოსვლის ქსელი. თბილისი ბევრ რესპუბლიკასთან და ქალაქთან დაკავშირებულია საჰაერო ხაზებით. 10 მაისიდან დაინიშნა კიდევ ახალი მარშრუტი — თბილისი-ზაქათალა, ხოლო 15 მაისიდან — თბილისი-სტეპანავანი-ერევანი. ამ ხაზზე ივლიან მრავალადგილიანი სარეისო თვითმფრინავები.

ერევანამდე მგზავრობა ღირს 80 მანეთი.

15 მაისიდან შემცირდა თვითმფრინავ „ტუ-104“-ით მგზავრობის ღირებულება — თუ აქამდე ღირდა 480 მანეთი, ახლა ეღირება 400 მანეთი, მგზავრები იღებენ უფასო საუზმეს და შეუძლიათ წაიღონ 20 კილოგრამი ხელბარგი.

საგარეუბნო კურორტებზე

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მახლობლად მრავალი ცნობილი კურორტია. კოჯორი, წყნეთი, კიკეთი, მანგლისი და სხვ. მაღალი საკურორტო თვისებებით, ქალაქთან სიახლოვით, აგრეთვე კეთილმოწყობილი გზებით მშრომელთათვის საუკეთესო დასასვენებელ ადგილებს წარმოადგენენ. ისინი განსაკუთრებით კარგია ბავშვებისათვის. ამ კურორტებზე ბევრი სანატორიუმი და სხვა გამაჯანსაღებელი დაწესებულებაა.

წელს საგარეუბნო კურორტების სანატორიუმებში 2.200-ზე მეტი ბავშვი დაისვენებს, მოეწყობა ათობით პიონერთა ბანაკი, ზაფხულს აქ გაატარებენ ბევრი საბავშვო ბაღისა და ბაგის, აგრეთვე საბავშვო სახლების აღსაზრდელები. გარდა ამისა, ამ კურორტებზე დაისვენებს 25.000-ზე მეტი მშრომელი.

თბილისის ავტოავაზლიდან საგარაკო სეზონთან დაკავშირებით საგარეუბნო კურორტზე დაინიშნება ავტომანქანების დამატებითი რეისები. დიდი ღონისძიებანი ტარდება კვებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

რამდენიმე სტრიქონით

◆ საქალაქო ტრანსპორტის მთავარმა სამმართველომ ვაკე-საბურთალოს ახალ მაგისტრალზე დაწესა ავტობუსის ახალი მარშრუტი № 21. გმირთა მოედნიდან, საბურთალოს ქუჩის, იბოდრომისა და ახალი მაგისტრალის გავლით სოფელ ბაგებამდე დადის „ზილ-158“ მარკის 2 ავტობუსი. ახალი საავტომობილო მარშრუტი — № 22 დაწესდა აგრეთვე საბურთალოზე სპეციალისტების სახლიდან ლისის ტბამდე.

◆ უახლოეს ხანში კახეთის გზატკეცილი სამგორის რაიონულ ცენტრს დაუკავშირდება კეთილმოწყობილი ქუჩით, რომლის სიგრძე იქნება 1.300 მეტრი, ხოლო სიგანე 50 მეტრი. ამ ქუჩას გაუკეთდება 20 მეტრი სავალი ნაწილი. იგი მთლიანად გამწვანდება. მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წლის მეორე კვარტალის ბოლოს.

◆ საბურთალოზე მიმდინარეობს კანდელაკის ქუჩის კეთილმოწყობა. განზრახულია მისი გაგრძელება ნახშირგორამდე, იგი მთლიანად მოასფალტდება, დაიგება 15.000 კვადრატული მეტრი ასფალტი. სამუშაოს დამთავრების შემდეგ აქ ივლის ავტობუსი.

დღეიდან ჩვენს გაზეთში საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძის რედაქციით დაიბეჭდება ჭადრაკის განყოფილება, რომლის მიზანია შემდგომი პოპულარიზაცია და პროპაგანდა გაუწიოთ საჭადრაკო ხელოვნებას.

ჭადრაკის მოყვარულებს ვთხოვთ განყოფილებისათვის გამოგზავნონ ნამოცანა და საეტიუდო კომპოზიციის ორიგინალური ნაწარმოებები, სხვადასხვა ადგილობრივ ტურნირებში ნათამაშევი პარტიები, აგრეთვე გაზეთში გამოქვეყნებული ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნა.

* * *

ამოცანა № 1

ა. გულიაევი (მოსკოვი)



შამათი 3 სვლაში

* * *

ამას წინათ დამთავრდა ჭადრაკში თბილისის პირველობის ფინალი. როგორც ცნობილია, პირველი და მეორე ადგილები გაინაწილეს ა. ბლაგიძემ და ა. ბუსლაევმა, რომლებმაც 17 შესაძლებლიდან თორმეტნახევარ-თორმეტნახევარი ქულა შეაგროვეს. ვაქვეყნებთ ამ ტურნირში ერთ-ერთი გამარჯვებულის პარტიას.

თეორები — ა. ბლაგიძე

შავები — ე. ბერსამია

1. c2—c4 g3—f6 2. b1—c3 c7—c5 3. e2—e4 d7—d5 4. e4—e5 d5—d4 5. e5:f6 d4:c3 6. f6:g7 c3:d2+ 7. ₯e1:d2 ₯f8:g7 8. ₯d1—c2 ₯d8—c7 (შავები ღრმად ვერ ჩასწვდნენ პოზიციას და აკეთებენ შაბლონურ სვლას, რაც ცუდ მდგომარეობას უქმნის მათ. სწორი იქნებოდა 8... c5, შემდეგ 9... d6, ამის შედეგად პუნქტ „ბ“ დაკავებით). 9. ₯d2—c3 (თეორიაში წრაფვიან გაუცვალონ მოწინააღმდეგის შაკი კუ, როიტელიც მეფის პოზიციაში). 9... e7—e5 10. ₯f1—d3 ₯c8—d7 11. ₯g1—f3 h7—h6 12. 0—0 მხარეები 13. ₯d3—f5! (თეორები აბრკოლებენ ბლაკბერნის ბიშოპ-ფილ ოროსს). 13... ₯c7—e7 14. ₯a1—d1 ₯d7—e7 15. ₯f1—e1 (თეორიკმა შეანიშნავად განავითარა ფიგურები. ისინი უწინარეს ყოვლისა იმუქრებიან „e5“-ით. ამიტომ 15... f7—f6 16. ₯f3—f4! (ა. ბლაგიძემ ამოსუნთქვის შამუალებაა ამ. ამ. თავიის ახალგახოდა ოოწინააღმდეგის ძოდდენილი სვლით იწყებს ლაბირინთის ძებნას). 16... ₯d7—f8 (სვლა არ არის. რა თქმა უნდა, არ ძლებოდა 16... ed, რადგან 17. ₯ლახიეოის ოოგებით). 17. ₯f5:e6 ₯f8—f8 18. ₯d4—f5 ₯e7—c5 19. ₯f5—e7 ₯g8—e7 20. ₯c2—g6 (ძუკარიოი ₯f7+) 20... ₯c5:d6 (შავები ინ ბული არიან ₯ახიეოი მესწორონ, ... ₯ათ ეოეც ვერ ინახინ სწორაფი განრებისაგან). 21. ₯d1:d6 ₯g e7:d6 ₯e1—d1+ შავები დანებდნენ. თუ ₯g e7, ანშინ 23. ₯b4+ c5 24. ₯:c5 25. ₯:g7+ ₯ოგუბინი.

ა. ბლაგიძემ კარგად გამოიყენა ... სამიას მიერ გათამაშებული დებ... არასიზუსტე.

ეს პარტია იმის მკაფიო მაგალ... თუ როგორი მონდომებით არის სა... სატურნირო პარტიისათვის მზადება. სათვის კი ღრმად უნდა შეესწავ... თანამედროვე ჭადრაკის თეორია.

რესპუბლიკური ჩემპიონატი ჭადრაკში

საქართველოს საჭადრაკო პირველობის ფინალის ძეოთხე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონატის ლიდერები სპორტის ოსტატი ბ. გურგენიძე და ა. ბრეიტმანი. ბრეიტმანმა აირჩია ალეოხინის დაცვა. გურგენიძემ ენერგიულად გაითამაშა დებიუტი და მოწინააღმდეგეს რამდენიმე პაიკი შესწირა. ერთ მომენტში ბრეიტმანს მეეძლო „შეეწირა“ ლაზიერი და შემდეგ აეხაზიარებინა იგი, რითაც ძს ზედაეტი პაიკები დარჩებოდა. მაგრამ ბრეიტმანმა გაცვლის ეს კომბინაცია ვერ შეამჩნია; ოსტატმა მისთვის ჩვეული ეიერგიით ძლიერი იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე და გამარჯვებას მიაღწია.

ა. ბუსლაევმა დებიუტით რამდენადმე უკეთესი თამაში მიიღო გ. მაჭავარიანის წინააღმდეგ. შემდეგ ბუსლაევმა მოიგო ორი ფიგურა ეტლსა და ორ პაიკში და აშკარა პოზიციური უპირატესობა მოიგო. დასასრულ ბუსლაევმა მამათის ოთხე შექმნა, მაჭავარიანმა დამაკ... ლებელი დაცვა ვერ მონახა და დაკ...

გ. გამრეკელმა ოსტატობის კარგი... ა. ბლაგიძის წინააღმდეგ ფრანგული... ცვა აირჩია. მის მიერ ამ დებიუტის ... ჩევა ფსიქოლოგიურად აშკარად არ... რი იყო, ვინაიდან ბლაგიძე ამ დებ... სის კარგი მცოდნეა. ბლაგიძემ ზუ... განახორციელა იერიშები და აიძულ... წინააღმდეგე დანებებულიყო.

მ. დემურია-მ. შიშოვისა და თ. ... გაძე-დ. ჯანოევის პარტიები ყაიმით ... თავრდა. დანარჩენი პარტიები გადა...

ოთხი ტურის შემდეგ პირველ ად... ზეა ოსტატი ბ. გურგენიძე, რომელ... 4 ქულა აქვს.

პრეტენდენტთა ტურნირი

ქ. პლოვდივში მიმდინარეობს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის. გათამაშებულია 8 ტური. შე-8 ტურში მსოფლიოს ექსჩემპიონმა ო. რუბცოვამ მორიგი გამარჯვება მოიპოვა და ტურნირის სათავეში ჩაუდგა.

ლიდერს — ო. რუბცოვას 7 შესაძლებელიდან 5 ქულა აქვს.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი, 15 მაისი. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ჩვენი ქვეყნის XXI ჩემპიონატის ერთ-ერთი ცეცხლოვანი მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო“ და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი. გაიმარჯვეს დინამოელებმა 3:0.

ლონდონი-მოსკოვი-ლონდონი

ლონდონი, 14 მაისი. (საკდესი). დღეს დილით ინგლისის ავიაკომპანიის „ბრიტიშ იუროპიენ ეირუეის კორპორეიშნის“ თვითმფრინავის „ვიკაუნტის“ რეისით გაიხსნა რეგულარული საჰაერო მიმოსვლა ლონდონი-მოსკოვი-ლონდონი. მგზავრთა შორის მოსკოვს გაფრინდნენ კომპანია „ბრიტიშ იუროპიენ ეირუეის კორპორეიშნის“ თავმჯდომარე ლორდი დუგლას ოფ კერტლსაიდი მეუღლითურთ, საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ატაშე დიდ ბრიტანეთში პოლკოვნიკი ა. მ. კონსტანტინოვი, ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი ჯონ ჰეი, ინგლისელი პარლამენტარიები ლორდი კილერნი, ფრენკ ბეზუიკი, ანტონი გრინვუდი, კრისტოფერ მეიპიუ, ჰენრი კერბი, ნორმან ჰალბერტი, აგრეთვე ინგლისელი ჟურნალისტები.

აეროფლოტისა და „ბრიტიშ იუროპიენ ეირუეის კორპორეიშნის“ კომპანიის შეთანხმებით ყოველი მხარის თვითმფრინავი იქნის გახსნილი ხაზით კვირაში ორჯერ. „ბრიტიშ იუროპიენ ეირუეის კორპორეიშნი“ გამოიყენებს „ვიკაუნტის“ ტიპის თვითმფრინავებს, აეროფლოტი — რეაქტიულ ლაინერს „ტუ-104-ა“-ს. ფრენას ერთი მიმართულებით (კოპენჰაგენში დაშვებით) თვითმფრინავი „ვიკაუნტი“ მოანდომებს დაახლოებით 7 საათს, „ტუ-104-ა“ ხუთ საათს.

ანტისაბჭოთა მონაბორის უარყოფა

ქაბული, 14 მაისი. (საკდესი). ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბახტარის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში უარყო ცნობა, თითქოს საბჭოთა კავშირის ჯარები შესულიყვნენ ქალაქ გერატის (ავღანეთი) რაიონში. ეს ცნობა ვრცელდება ინგლისის პრესაში.

ბახტარის სააგენტოს ცნობაში ამის გამო ნათქვამია, რომ ლონდონის გაზეთ „დეილი ტელეგრაფში“ გამოქვეყნებული ცნობები იმის შესახებ, რომ საბჭოთა ჯარები შევიდნენ ავღანეთის ტერიტორიაზე (ვერატის პროვინცია) და ირანის მეზობელ ამ ტერიტორიაზე სიმაგრეები ააგეს, სასაცილო და უსაფუძვლოა.

ყოველი მხრიდან

ხალხთა მშვიდობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას

სტოკჰოლმი, 14 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). შვეციის სატახტო ქალაქიდან კვლავ მთელ მსოფლიოში გაისმა მოწოდება მშვიდობის განმტკიცებისათვის. ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ სტოკჰოლმის ისტორიული მოწოდების გამოქვეყნების 9 წლის შემდეგ, რომელსაც ხელი მოაწერა ყველა ქვეყნისა და კონტინენტის 500 მილიონზე მეტმა კეთილი ნების ადამიანმა, მოკავშირეთა სახლის იმავე შენობაში მიღებულ იქნა ახალი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც მოწოდებულია ხელი შეუწყონ ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ ფართო განვითარებას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებაში ხალხებისადმი ნათქვამია, რომ საჭიროა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეხვედრა, რომლებზეც დამოკიდებულია მშვიდობის ბედი. ყველა ქვეყნის ხალხებს სურთ ეს შეხვედრა, რათა თავიდან აიცილონ შეიარაღებული შეტაკება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მდგომარეობამ გერმანიაში, რათა ხალხები იხსნან ატომური ომის საშინელებისაგან და ჯერ გაუხსნან განიარაღებასა და მშვიდობიან თანამშრომლობას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო აჯამებს თავისი ათი წლის მუშაობის შედეგებს და მოუწოდებს მშვიდობის ყველა მომხრეს მოითხოვონ: შეწყვეს სამოდამოდ ატომგულის იარაღის გამოცდა, აიკრძალოს ატომგულის შეიარაღება;

დაშორეშორდნენ შეიარაღებული ძალები იმ რაიონში, სადაც არსებობს მშვიდობისათვის საფრთხე, და პირველ რიგში ევროპის ცენტრში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე მიღებულ იქნა აგრეთვე საერთო დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ის ძირითადი პრინციპი, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა არის ყოველი ადამიანის მოვალეობა, ახლა ღრმად შეგნებული აქვს მილიონნობით ადამიანს. დეკლარაციაში ჩამოთვლილია წარმატებანი, რომლებიც მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობამ მოიპოვა თავისი არსებობის 10 წელიწადში, და ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მშვიდობის გზაზე კიდევ უნდა დაძლეულ იქნეს მრავალი დაბრკოლება.

„აკაცობრიობა, აცხადებენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრები, გზაჯვარედინზეა. ძის წინაშეა არჩევანი: სიცოცხლე ან სიკვდილი. ჩვენ ვირჩევთ სიცოცხლეს. და დღეს მსოფლიოს ხალხებს შეუძლიათ აიძულონ ომის ძალები უარი თქვან თავიანთ გეგმებზე. მშვიდობის გახმატკიცების ინტერესებისათვის ჩვენ მოვუწოდებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს გაერთიანონ ღონისძიებანი და ითანამშრომლონ ერთიანი მიზნის მისაღწევად—ბოლო მოუღონ ომს მარტო „ცივ ომს“, არამედ ყოველგვარ ომს, რათა კაცობრიობამ გამოიყენოს მეცნიერების შესანიშნავი მიღწევანი და შეძლოს შეგროვდეს აყვავებისა და ბედნიერების ერაში, იცხოვროს უშიშრად და უძღვალად მთელი მსოფლიოს მშვიდობის პირობებში“.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ მიმართა მშვიდობის მომხრეთა ყველა ეროვნულ მოძრაობას, მშვიდობის მთელ ძალებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს, დამოუკიდებლად მათი შეხედულებისა და რწმენისა, და მოუწოდებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოაწყონ კამპანია მოლაპარაკებისათვის უმაღლეს დონეზე, რომელიც უნდა იქნეს ნაბიჯი ცივი ომის ლიკვიდაციისა და მოლაპარაკების გზით ყველა საერთაშორისო დავის მოწესრიგებისათვის. ამ კამპანიის დროს, ნათქვამია დოკუმენტში, საჭიროა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის სესიის მოწოდება ხალხთა მოთხოვნით უმაღლეს დონეზე თათბირის შესახებ მასწავლეს ყველა იმ ადამიანის გულსა და გონებას, ვისთვისაც მშვიდობის საქმე ძვირფასია.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს ყველა მოძრაობას მშვიდობისათვის მოაწყონ ამ კამპანიის განხორციელებისათვის პეტიციების გაგზავნა, ხელმოწერის შეგროვება, მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვა და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უნდა დამთავრდეს დელეგაციების გაგზავნით იქ, სადაც იქნება თავარობთა მეთაურების თათბირი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს, რაც შეიძლება უფრო ფართოდ მოაწყონ მშვიდობის მსოფლიო ეს ტაფეტა, რომელიც სახლიდან სახლში, სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყნისაში ყალიებს და თავარობათა მეთაურების თათბირს გადასცემს ყველა ხალხის მტკიცე მოთხოვნას მთელი მსოფლიოს მყარი მშვიდობის შესახებ. საბჭო მოუწოდებს — 1 სექტემბერი, მეორე მსოფლიო ომის დაწყების დღე, აღინიშნოს როგორც ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღე.

19 ქვეყნის 70 პარლამენტარმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მუშაობაში, გამოაქვეყნა საჯარო დეკლარაცია. მათ მოუწოდეს სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც ახლა ჟენევაში შეიკრიბნენ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, დაუყოვნებლივ მიიღწიონ შეთანხმებას „ცივი ომის“ ლიკვიდაციისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შესახებ, რათა მთელი დედამიწის ადამიანებს შეეძლოთ იცხოვრონ და იმუშაონ მშვიდობის პირობებში. დეკლარაციის ავტორებმა მოითხოვეს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებმა ყური მიუგდონ მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანების მტკიცე მოწოდებას, რომლებიც მოითხოვენ ბოლო მოეღოს ომს და „ანონგარიშე“ გამოცხადდეს იგი, მიიღონ სხვადასხვა პოლიტიკური სისტემისა და სხვადასხვა იდეოლოგიის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა. ამავე დროს მათ საქვეყნოდ იკისრეს თავიანთ საპარლამენტო მოღვაწეობაში განახორციელონ მშვიდობის პოლიტიკა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე მიღებულ იქნა აგრეთვე მთელი რიგი რეზოლუციები მშვიდობისათვის ბრძოლის ცალკეულ პრობლემებზე.

დ. ერშოვი, ა. კრასიკოვი.

შტრაუსის ინგლისში გამგზავრების გამო

ბონი, 14 მაისი. (საკდესი). სოციალ-დემოკრატიული ბიულეტენი „პარლამენტარიმ-პოლიტიშერ პრესედენსტი“ იმოწმებს ქრისტიან დემოკრატთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებს და იუწყება, რომ დაახლოებით 240 მილიონი მარკის ინგლისური სამხედრო მასალების შესყიდვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრ შტრაუსის ინგლისში ვიზიტის ძირითადი შედეგი იქნება.

ამ წრეებიდან მიღებული ცნობებით, აღნიშნავს ბიულეტენი ინგლისური სამხედრო მასალების შესყიდვა ბუნდესვერისათვის, რაც დაადასტურა შტრაუსმა ინგლისში, კერძოდ, მოიცავს: საარტილერიო საომარ მასალებს, ელექტრონულ და რად
რულ აპარატურას, აგრეთვე ბუნდესვერის მიერ უკვე შესყიდული სამხედრო-საზღვაო თვითმფრინაეების სათადარიგო ნაწილებს.

საჰაერო მიმოსვლა ლონდონი-მოსკოვი-ლონდონი

ლონდონი, 14 მაისი. (საკდესი). დღეს დილით ინგლისის ავიაკომპანიის „ბრიტიშ იუროპიენ ეირუეის კორპორეიშნის“ თვითმფრინავის „ვიკაუნტის“ რეისით გაიხსნა რეგულარული საჰაერო მიმოსვლა ლონდონი-მოსკოვი-ლონდონი. მგზავრთა შორის მოსკოვს გაფრინდნენ კომპანია „ბრიტიშ იუროპიენ ეირუეის კორპორეიშნის“ თავმჯდომარე ლორდი დუგლას ოფ კერტლსაიდი მეუღლითურთ, საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ატაშე დიდ ბრიტანეთში პოლკოვნიკი ა. მ. კონსტანტინოვი, ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი ჯონ ჰეი, ინგლისელი პარლამენტარიები ლორდი კილერნი, ფრენკ ბეზუიკი, ანტონი გრინვუდი, კრისტოფერ მეიპიუ, ჰენრი კერბი, ნორმან ჰალბერტი, აგრეთვე ინგლისელი ჟურნალისტები.

ტელეგადაცემათა პროგრამა

16 მაისისათვის

17.50 — თბილისის „დინამოს“ ... მოსკოვის „ტორპედოს“ ოსტატ/ ... ბურთეთელთა გუნდების მატჩის ... პორტაჟი თბილისის „დინამოს“ ... დიოხიდან, 19.45 — გადაცემა ... წვალეთათვის — „მოგზაურობა ... სამყაროში“, 20.00 — „დიდი ... რობის ხელოვნება“ (ახალი დოკუ... ტური ფილმი), 21.20 — ახალი ... პაპური მხატვრული ფილმი „ქ... შვილი სურით“.

რადიოგადაცემები

16 მაისისათვის

პირველი პროგრამით

10.45 — აზერ კულიევის სიმღერები, 11.00 — მასალები გზეთებიდ... 11.15 — მერი დავითაშვილის ... ვიოლინისა და ორკესტრისათვის ... ტარიელ ბაქრაძის საფორტეპიანო ... კონცერტი, 12.15 — გუნდები ... მუსიოოგაკის ოპერებიდან, 12.45 — ... ერატიული სიმღერები, 17.20 — გადაცემა ... ძოსწავლეთათვის. რადიოთხსაუბ... რება — „თეთრად ფრიალებს ... ეული“, 18.00 — თბილისის „დინამო... სა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ... ტატ ფეხბურთელთა გუნდების ... ჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამო... სტადიონიდან, 19.45 — სიმღერები ... თა ვოკალური კვარტეტის ... სრულებით, 20.20 — გადაცემა: „... ფიკაციის ეკონომიური ეფექტ... ხოა, 20.35 — ინგლისური სიმღ... ბი, 21.00 — ლიტერატურული ... ცემა ციკლიდან — ლიტერატურ... და ხელოვნების მოღვაწეები — ... ური პრემიის ლაურეატები, 21.30 — ... ქართული ხალხური მუსიკა, 22.00 — ... მუსიკალურ-ლიტერატურული ... ზიცია: ბალეტი „რომეო და ჯულიეტ...

მეორე პროგრამით

21.00 — გაართობი მუსიკა, 21... — ლიტერატურული გადაცემა „... ენაზე ციკლიდან — „მწერალთა ... მე საკავშირის ხალხთა მეგ... — საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგ...

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46 პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის—3-16-90, სოფლის მეურნეობის—3-20-43, მეცნ ერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, სალუ ტრაცეო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

УО 02650 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს ტანმოვარჯიშეები ჩინეთში

ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ტანმოვარჯიშეები სტუმრად იმყოფებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. აქ ისინი ჩინელ მეგობრებთან ერთად გადიან წვრთნას, აწყობენ საერთაშორისო შეხვედრებს.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა პირველი გამოსვლა მოეწყო შანხაიში. საბჭოთა და ჩინელ სპორტსმენთა ასპარეზობას სპორტის მრავალი მოყვარული დაესწრო.

ტანმოვარჯიშე ქალთა შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 184,41:171,46. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. შარაბაძე, რომელმაც მრავალჭიდში 37,19 ქულა შეაგროვა. მანვე პირველი ადგილი დაიკავა ბჯენთ ბჯენთ ბალმაში. საქართველოდან პირველი ადგილები დაიკავეს აგრეთვე მ. ნინოშვილმა (წონასწორობასა და თავისუფალ ვარჯიშში) და ე. ქაჯაიამ (ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშში).

ვაჟთა კოლექტივების შორისაც პირველი ადგილი ჩვენი რესპუბლიკის გუნდს ხვდა, მაგრამ აქ ქულათა განსხვავება შედარებით მცირე იყო — 280,85:279,40. ტანვარჯიშის 6-დან 4 სახეობაში პირველი ადგილი დაიკავა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა 18 წლის იუი ლე-ფენმა. მანვე 57,55 ქულით გაიმარჯვა მრავალჭიდში. ბჯენთ ხტომაში უძლიერესი იყო ნ. მაკალათია, ღერძზე ვარჯიშში — ნ. ფრიდონიშვილი.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ახალი აღმავლობისათვის

(დასასრული)

მა ორგანიზაციებმა ქმედითი ზომები უნდა მიიღონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, გადაეცეონ ისინი მასების პოლიტიკური და კულტურული მუშაობის დასაყრდენ ბაზებად.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ულმობელი ბრძოლა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საზოგადოებრივი აზრი დაირაზმოს წარსულის მავნე გადმონაშთების ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან შექმნან შეურიგებლობის ატმოსფერო საზოგადოებრივი დოგლათის დამტაცებლების, ეგოისტების, კარიერისტების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც თავის პირად კეთილდღეობას სხვის ხარჯზე აგებს, იყენებს ამისათვის თავის სამსახურებრივ მდგომარეობასა და ნაცნობ-მეგობრებს. სააგიტაციო საუბრები, ამხანაგური სასამართლოები, კედლის გაზეთები, სატირული ფურცლები და საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა საშუალებები სრულყოფილად უნდა გამოიყენონ ჩვენს ცხოვრებაში შემჩნეული მახინჯი მოვლენების აღმოსაფხვრელად.

პოლიტიკურ აგიტაციაში გვერდს კი არ უნდა ვუვლიდეთ ჩვენი სიხალვდილის ჩრდილოვან მხარეებს, არამედ მზის სინათლეზე უნდა გამოგვქონდეს ისინი, დაუფალავად ვიბრძოდეთ ლოთობის, ხულიგნობის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევისა და სხვა ამორალურ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

შემდგომ უ